

1950

საქართველოს საბჭოთაო
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
საბჭოთა საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

საქართველოს საბჭოთაო
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
№ 188
23/10/50



ს ა ბ ე რ ი ს ნ ა რ ო ს ა ა თ ი

ვინც მსოფლიო ბატონობას
სისხლის ღვრით და ომით ედის
მას უთუოდ დასასრული
აქვს ჰერინგის და ჰიტლერის!

ყუდღეს მათ შუა აქანავეებს
კვდავ საათის მშვიდი ძგერა,
ქაში დაჰკრავს, დასრულდება
სისხლისმღვრელთა ბედისწერა.

ნახ. ვ. ლომიძისა

ნ ი ა ნ მ ი

საქართველოს საბჭოთაო
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს



1. ტრიუგველი—უოლ-სტრიტის გულისათვის შეეწყით საცოდავ გენერალს, ცოტაოდენი საზარბაზნე ხორცი გვიბოძეთ...



2. ამერიკელი ძია—არა გრცხვენია, ამოდენა ბიჭი ხარ და მათხოვრობ, —დროა ბანდიტობას მოჰკიდო ხელი.

უგზო-უკვლოდ დაკარგულნი

— კორეაში გაგზავნილი ამერიკის საინტერვენციო ჯარების რამდენიმე სარდალი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.
 — გაერთიანებულ ერებში შემავალმა მარშალიზებულმა სახელმწიფოებმა ამერიკასა და ინგლისს უარი განუცხადეს კორეაში ჯარების გაგზავნაზე.

უოლ-სტრიტზე „პატრიოტულ“ პანაშვიდებს მოუხშირეს: „განუსვენეს“ ლალადებენ, იქ, ცისმარე შაბათ-კვირეს! თვით ტრუმენი—საკმეველით დიდ საცეცხლურს ატრიალებს, და, „უმკვიდრებს“ სასუფეველს გენერლებს და აღმირალებს, ვინც ნადავლის მოსახვეჭად შეკაზმა და ჩააბარა და გუშინწინ გაგზავნილი— გუშინ სადღაც დაეკარგა. მათ ცხონებას შესთხოვეს უფალს, ულონდება ციციქნა გული, თვალზე კურცხალს ვეღარ მალავს— სამგზის გაპიტლერებული! —რა მოსვლია შეატომეს, ცოფი რატომ მორევია? —რა ქნას, ყელში გაეჩხირა „პაწაწინა“ კორეია! —მიკვირს: ვინც მთელ დედამიწას ჩასაყლაპად ელირება, ეს კუნძული—ერთიბეწვა ყელში როგორ ეხირება? მიეშველეთ განგსტერებო, არ დაგებრჩოთ პრეზიდენტი! მიაშველეთ ზარბაზნები, ტანკი, თოფი, ტყვია, დენთი,

მიაშველეთ სპა ლაშქარი, მოიმაგროს ეგებ გული, ეგებ თავი ისევ ჰპოვოს უგზო-უკვლოდ დაკარგული!

* * *

შეურნალებად მოუწვიეს ძველისძველი ყაჩაღები. მათ დაასკვნეს: —„თუ მორჩები, მხოლოდ ომის გაჩაღებით!“ ჩერჩილმა თქვა: —ნუ წახდები, ფარხმალი ნუ დაგიყრია, მე მაგგვარი პანლურები ათასობით მომხვედრია!

მაგრამ მაინც გულს არ ვიტებს, არ გეგონოს ჩმახი, ჭორი, შენც მიტომ ხარ პრეზიდენტი, რომ გამაგრდე - ვითა ჯორი! განა მარშალიზებული ქვეყნები და მთავრობანი აღარ გეყავს, რომ დაგვაწიონ საომარი ხმა და ბანი?

საზარბაზნე ხორცი ვთხოვოთ, და, მოგვცემენ, ღმერთი ხედავს,— ომს — „მშვიდობას“ თუ დავარქმევთ, უარს ვინლა შემოგებედავს? ერთი სიტყვით, ნუ წახდები, მოიმაგრე ციციქნა გული, მოიკრიფე ჭკვა და გონი, უგზო-უკვლოდ დაკარგული!

* * *

მაგრამ ბრიყვ ჯორს. როცა სცემენ, (თუნდაც მარშალიზებულსა),— თვით ისიც კი — შიშის გრძნობით, უფრთხილდება ტყავს და სულსა, ამიტომ და ამის გამო, საზარბაზნე ხორცის შოვნა გაუძნელდათ ძველ განგსტერებს, არ გავიდა მათი თხოვნა. არ გავიდა, რადგან ქვეყნად მშვიდობის ხმა ისე გრგვინავს, რომ თვით ომის ვირთაგვებიც დააფრთხო და შეაშინა! და უოლ-სტრიტს კვლავ აბორგებს ფორიაქი არამშვიდი. ზარი რეკს და იმართება დღეში შვიდი პანაშვიდი! პრეზიდენტი ცას შეღმუის, ომის ლოცვებს შესჩურჩულებს, და ავედრებს საცხონებლად, უგზო-უკვლოდ დაკარგულს. იქამც იყოს! მათი ბედი, თუ ამ განგსტერს დაამშვიდებს,— მოვესწრებით თვით მის სულის საცხონებელ პანაშვიდებს!



გასული წლის აგვისტოს პაპანაქება სიცხეში, როცა სოფლად მოსავლის აღება იყო გაჩაღებული, კასპის რაიონის სოფ. სამთავისის კოლმეურნეობაში, მინდვრიდან დაბრუნებულ გამგეობის თავმჯდომარეს აშხ. გიორგი უზნაძეს კანტორის მუშაკებმა სიურპრინი დაახვედრეს:

—გარდამავალი დროშა... გარდამავალი დროშა მივიღეთ, ამხანაგო გიორგი, შრომა დაგვიფასეს!— შეეგება ბუხპალტერი რუსუდანი, ხელში დროშა შეაჩეჩა და თავმჯდომარის გადაკოცნას აპირებდა, მაგრამ უხერხულობა იგრძნო, ვაი თუ ვერ შეეწვდეთ და თავი შეიკავა.

თავმჯდომარემ დროშას დახედა. დახედა და ამოიკითხა:

—გარდამავალი დროშა მოწინავე ფერმას, პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების საქმეში მაღალი მაჩვენებლებისათვის*.

გიორგის თვალები გაუბრწყინდა, დროშა ალერსით აათვალიერ-ჩაათვალიერა და ღიმილით იკითხა:

—ვინ შოიტანა?

—ფოსტით მოგვივიდა.

—ფოსტით? ვანა ვისგან არის?!

—რაიონიდან იქნება. ალბათ აღმასკომმა დაგვაჯილდოვა, კარგი იყო, რომ თვითონ ამოეტანათ, მაგრამ ხომ იცით, მოსავლის აღებაა, გადატვირთულები არიან, ალბათ ვერ მოიცალეს.

—გუშინ აქ სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი იყო, ასეთ რამეს თუ აპირებდნენ, რატომ არაფერი შითხრა!

—მოულოდნელად გაგვახარეს, ხომ იცი, როგორ გვცემენ პატივს რაიონელი ამხანაგები!

კარზე მომდგარი სიკეთე ისეთი ხილია, რომელსაც ყველა კბილით არ სინჯავს ადამიანი. გიორგი უზნაძემ ფერმის გამგეს მიულოცა გამარჯვება, ამ უკანასკნელმა სიხარულით ყველაზე უფრო პროდუქტიული რამდენიმე ძროხა გადაკოცნა და იმ დღეს დაბადებულ ხბოზე „შვინდა-ვაკისეულზე“ უფრო მეტად დაიწყო კუბრუში.

თავმოყვარე კაცია გიორგი უზნაძე, მეორე დღეს მინდორში მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შემოეყარა და შეხვედრისთანავე მიახალა:

—შეგიძლია მომილოცო!

—რა ამბავია?

—გარდამავალი დროშა მივიღე. მეზობელ კოლმეურნეობის თავმჯ-

დომარემ გულიანად გადაიხარხარა და მიუგო:

—რა ოხერი რამე ხარ, კაცო, ხუმრობა არ უნდა დაიშალო?

—რა მაქვს სახუმარო.

—კაცო, დროშა მე მივიღე და შენ ტრაბახობ?

—რა დროშა მიიღე?!

—გარდამავალი, ჩვენი მესაქონლეობის ფერმა დააჯილდოვეს.

—აბა, ხუმარა შენა ყოფილხარ!

დიდხანს იკამათა ორმა თავმჯდომარემ, ორივე მართალი იყო და აბა, რომელი გაიმტყუნებდა თავს! გარკვევის მიზნით რაიონს მიმართეს, მაგრამ იქიდან გარდამავალი დროშის მაგიერ ასეთი პასუხი მიიღეს:



—ჩვენ გარდამავალ დროშებს ფოსტით არ ვაგზავნით. იმდენ დროს კი მოგნახავთ, რომ სახეიმო ვითარებაში გადმოგცეთ.

თავმჯდომარეებს ხან შეცდომა ეგონათ, ხან კი გულისხმობდნენ ცენტრიდან სხვადასხვა ორგანიზაციებმა დაგვაჯილდოვესო. ამანათის მიმღებ მუშაკებს უსაყვედურებდნენ, პაკეტი რატომ დახიეთ, ზედ გამომგზავნის მისამართი ეწერებოდაო, მაგრამ გაუგებრობა გაუგებრობად მანამდე დარჩა, ვიდრე თბილისიდან ცალ-ცალკე ასეთი მძმარეები არ მიუვიდათ:

„კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების შეკვეთით გადმოგვგზავნათ ერთი ცალი დროშა ზომით 100x70. ღირებული გამოგზავნის ხარჯების ჩათვლით. 715 მანეთად.

გთხოვთ გადმოგვირიცხოთ კუთვნილი თანხა ჩვენს მიმდინარე ანგარიშზე ქ. თბილისში, სახ. ბანკის ბერიას სახელობის განყოფილებაში: საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საწარმოო განყოფილების ანგარიშზე № 160,009...“

მიმართვეს თან ახლდათ თავისი ნიშანდობლივი მხარეები: შტამპი, თავმჯდომარისა და ბუხპალტრის გვარგაურკვეველი ხელმოწერები. მიმღებთა არახუსტი მისამართები.

გაუგებრობა მხოლოდ ნაწილობრივ გაეფანტათ თავმჯდომარეებს. მაინც ვერ მიმხვდარიყვნენ, რა შუაში იყო გეოგრაფიული საზოგადოება და გარდამავალი დროშა, რატომ ითხოვდნენ ასეთ უცნაურ თანხას დროშის საფასურად და რაში უნდა გამოეყენებინათ ეს დროშა, როცა მათ მესაქონლეობის ფერმა მხოლოდ თითო გააჩნდათ. „მოწინავე ბრიგადისო“, ასე მაინც წერებულყო ზედ...

მაგრამ როგორც ვატყობთ, აქ ჩვენი მკითხველიც რამდენადმე გაუგებრობაში ჩავარდა და „საქმეს“ რომ ნათელი მოეფინოთ, საჭირო იქნება ცოტაოდენი უკანდახევა.

თბილისში, კეცხოველის ქუჩაზე არსებობს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. ამ საზოგადოებამ შემოსავლის მიზნით დააარსა საწარმოო განყოფილება, რომელიც აწარმოებდა სხვადასხვა საამკინძაო საქმეებს და ამზადებდა აგრეთვე... დროშებს. საწარმოო განყოფილებას ჰყავდა თავისი აგენტები, ამ აგენტებმა, რაკი ისინი გეოგრაფიული საზოგადოების მუშაკები იყვნენ, შესანიშნავად იცოდნენ გეოგრაფია და ერთმა მათგანმა, სხვა რაიონთა შორის, კასპის რაიონსაც მიავიხო.

—კულტომსახურებას ვაგნივეთ. დაფორებს გაგიკეთებთ, დროშებს დაგიხატავთ, აგაშენებთ, დაგამშვენებთ.

—მაგას რა ჯობია!—უთხრეს კასპის რაიონის მუშაკებმა.

—მაშ მომეცით მოწინავე, სხვებზე უფრო შეძლებულ კოლმეურნეობათა სია.

—ინებეთ.

და გეოგრაფიული საზოგადოების საწარმოო განყოფილების აგენტმა წამოიღო სია, სადაც ჩამოთვლილი იყო ოცდაათამდე კოლმეურნეობა.

შემდეგ კი თქვენც მიხედვით: ადგენენ საწარმოო განყოფილების მუშაკები და სიაში ჩამოთვლილ კოლმეურნეობებს გადაუგზავნეს ამ შემთხვევაში არაფრისათვის საჭირო, ზღაპრულ ფასად ღირებული გარდამავალი დროშები.

ახლა, გეოგრაფიულ საზოგადოებიდან, მიუხედავად საწარმოო კომბინატის გაუქმებისა, მიმართვას მიმართვაზე გზავნიან, ემუქრებიან კოლმეურნეობებს, ჩქარა ფული, თორემ გიჩივლებთო და მიწერ-მოწერის კორიანტელში იხრჩობიან...

„დროშებით დამჯილდოებელი“ აგენტი კი, ვინ იცის, თავისი კომპასით რომელ ახალ ობიექტს აგნებს, სად „საქმიანობს“, სად იცინის, სად კვდება სიცილითა!

გ. ივანიშვილი



ვაჟა ფშველას ნაკვეთი



(ვაჟა ფშველას ვარდაცვალებიდან წინ მისი უბედურების გამო.)

„ხალხს მშაბლესა“ და „ბატონის“ ავტორს მოსწრებული ხიტვა და იხუნჯობაც უფარდა. დღემდე მდგრადი ვაჟა იხუნჯობა-თა შორის ბევრი საფუძვლიანი და სახალოო ვაჟა ქვემოთაწინა ნაკვეთი ამო-კრფულია პოეტის მეგობართა და მამობელ-თა მიგონებებზე. ზოგიერთი კი ჩვენს შორის არის ჩაწერილი.

ს. ცანიშვილი

—აბა, ბიჭებო, ვინ არის თქვენში ხელმარჯვე და ფეხმარდი აქ, ერთად აღვიღოს კურდღელსა სინძანს და რო-გორმე უნდა დავივიროთო,—უთხრა ერთ ოჯახში ნადირობიდან სტუმრად მისულმა ვაჟამ იქ მყოფ ახალგაზრდებს, დინამულად ადგილას მართლაც აღ-მოჩნდა „ამინარე“ კურდღელი. ბიჭები მის დასახეზე გამზარდულდნენ, გაი-ზანდნენ, თითის წვერებზე მდგომანი ფეხ-აბრეფით უახლოვდებოდნენ მსხვილკის-ერთი საყენის მანძილზე რომ მიუვ-ლოვდნენ; უცხრად ისეუბნენ და სა-მიყენი ერთად ზედ დაახტნენ კურ-დულს.

—ბიჭებო, არ დახარბოთ, ცოცხალი წამოიყვანეთ!—მიმამბა ვაჟამ და სიცი-ლი წაქადა. თურმე ვაჟას კურდღელი მოყვლა და ბიჭების გასაბრუნებლად ბურჯებში დაემალა. დიდი ხნით და სიცილი ატყდა.

—გამობარჯოს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ფეხ-და-ფეხ კურდღელს იჭერენ... გაიძახდა და დაიქრულა.

ერთხელ თიანეთში ჩამოსული ვაჟა ფშველა თავის მეგობარს მ. შამანა-ურს სტუმრად მიუწვევია და ცოლიც წინაღონად გათრებილებია. ვაცნობის თანავე მ. შამანაურის მეთულის უთქ-ვანს ვაჟასთვის:

—როგორ მენატრებოდა თქვენი ვა-ცნობა, დღეს დიდად მოხარული და ბედ-ნიერი ვარო.

—ჩემო რძალო,—მიუგო ვაჟამ,—შენ ისე ხომ არ მოგივიდა, როგორც ერთ ზეგურს, რომელსაც მეფე ერეკლე არ ენახა, ხოლო მისი სახელით კი მოიბი-დული იყო და ვადასწვევითა მეფის პი-რადლით ნახა. ეთიანეთში დაბანაკებულ ბიჭვე ზეგურმა დიდხანს ათვალიერა და ბოლოს ჰქვია:

—შენ ხარ მეთვე ერეკლე?
—დაიხ, მე ვალაფარ, არ მოგწონ-ვარ?

ზეგურსმა თვით გაიჭინა და უკასხა:
—მეთვე შენს ნახვას შენი სახელი სჯობნებიაო.



ვაჟა ფშველას ერთ მის ნაცნო-ბისათვის, რომელსაც მიუწერია შამან-ურს ავადმყოფ პრეტისათვის აკეთის გრან-დოზით დოქტორის დავის შესახებ.—უკ-სუნებია:

—დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საკირო. ჩვენი მოღვაწეების დამარჯვ-ში ქართულები დიდ გულუბობას ვი-ჩენთ, სიციხის დროს კი იმითი და-ფისებების უნარისა რა მოვასხნოო მავალითად, ჩემთვის დასაკრძალავ ადგილი ოცი წელია, რაც შერჩეულია და შემოფარგულული, მაგრამ ამ წინ-განმავლობაში თუ სხვ, როგორ ვცხოვ-რობ, ამაზე არავინ არაფერს კითხუ-ლობსო.



ვაჟა ფშველა თიანეთში ყოფნი-სას შესწრო რომ ბოქოული გულუბნ-რალაცაზე ეხებებოდა და უსამართ-ლოდ სტუქსავდა. ვაჟას შეგობა-ლადანაშაულო გულუბნობა და იქვე მდგომ ბოქოულს უთხრა:

მურტუკი მიტომ მურტუკობს, დედა ჰყოლია ვიროო, საწყალი კაცის მზაცრელი ვინ გაგიონია გმირიო?

ერთხელ ვაჟას თავის მეგობრები (შოი მღვიმელი, ვანო ბუჭურაული) შე-კითხია: რა მიზეზია, რომ წვერი გვა-ფოთობია და ულვაშები ისევ-ისე შავი გაქვსო.

—ეს იმიტომ, რომ თქვენზე პირ-შა-ვითა ვარო,—მიუგო თურმე ვაჟამ.

ვაჟას ბიძა რომ გარდაიცვლიდა, ჩვე-ლუბების მიხედვით დავითის წამით-ხელად სოფლის დიკავანი მოუწვევია, მაგრამ რაკ ის ავად ყოფილა, თიან-ეთიდან ახალგაზრდა კოლა შამანაური მიუყვანიაო. კოლა ზის თურმე მარტო-ცა მიცვალებულთან და დიაკვნური, გაბმული კილოთი დავითის უკითხავს. ვაჟა უკანიდან მიპარვია და დარწმუ-ნებულა, რომ კოლას თურმე დავითის სასიდად აქვს გადაშლილი, ნამდვილად კი „გოგოფურ და აფშინასა“ კითხუ-ლობს. ვაჟამ მხარზე დაქაჯა ხელი და უთხრა:

—ყოჩად, ჩემო, ყოჩად, ვე წაუკითხე ჩემს მკვდარს, ვე უფრო მიუე, ვიდრე მღვდლების „ვითარაცაო“.

ვაჟა ფშველას ერთ-ერთ ნაღი-მზე, ქ. გორში, როცა დღირო დაძა-ღის, ექსპრომტად უთქვამს:

გულეც მეყოფა საამოდ, დღინის ნე მასმეთე უხედა, თუ დათვებო, ეს მასმინლობა მაშინ ჩაგულით ეუქსადა... ტვინის ნე დაეჩრავთო, ცოლავა. ნუ გადაცაქვთო კუკადა, თორმე სმით ვერ შემაშინებთ, თედა! აქა მყავ მურჯავადა. შობათვით, რომ დედინეც გსურდეთ, დღირო, ბიჭს, ჩასაყურტუქადა.

* ვაჟას ძმა, ო. თიანეთელი.



თბილისში ყოფნის დროს ვაჟა ფშველა სადალკოში შესულიყო. თნი-სა და წვერის ვაჭარის შემდეგ პარი-კმანბრისათვის შაჟური შეუძლევიდა.

—ვა, შაჟრს რომ მამლეც, სემი-ჩქა ხომ არ მომიყვინდა შენთვისო,— უთქვამს პარიკმანბრის.

—შენ რო იცოდ, რა თავი გა-კრივე, მავასაც არ გამოპარო შედგო.

—უპასუხია თურმე ვაჟამ.



ერთხელ თბილისში ახლად ჩამო-სულ ვაჟას ერთი ნაცნობი ახალგაზრ-და მწერალი შეხვედრია, რომელსაც უხარბებია პრეტისთვის, რომ „პარი-კმანბრეთა შორის წ. კ. გ. საზავადობა-ში“ დაარსდა.—ხელმოკლე მწერალთა დამამბირე ლინდი.

—რაც იქიდან გამოვიდეს, შენ იმითი ცხონდი,—მიუგო თურმე ამ სა-ზოგადოებრივ უკმაყოფილო ვაჟამ.

როცა ვაჟა ქუთაისში იყო, იქორწინ-წინის მალაზის გამგეს სხვა ბროშურ-ბიძან ერთად, ვაჟას რომელიღაც პოე-მაც გაუტანებია გასასხიდალ პატარა ბიჭისათვის. ბიჭი უკან რომ დაბრუ-ნებულა, უთქვამს: „ვაჟა ფშველა ორ შაჟრად გავუდიდო“.

—ბიჭო,—აღერსით უთხრა თურმე ვაჟამ,—ამოდნა კაცი ორ შაჟრად რო-გორ გაუდიდო!

ერთხელ ვაჟასათვის მის მეგობარს, ვ. მათურელს უთქვამს:

—ლუკაც, რათ გინდა რა დაპუტეი-ლი თვალთ დაღინარ. (ვაჟას ცალი თვალი ციმბირის წულულმა გაუფუქა); არა სჯობია ექიმს გასწორებინო?

—ჩემი დაპუტელი თვალი რომ არ გაბღვრილებულე შენ და ჩემს ძმას, სანდროს, ვილა შეგანინებდაო?—უკ-სუნია ვაჟამ.

სადაღმობად, ვაჟამ თავისი უმცროსი ძმა სანდრო სკოლიდან შინ წაიყვანა ცხენზე უკან შესმული. მულაჩაურის მახლობლად ვენახიდან შემთხვევით უკვებ განოსტულმა გულმან ცხენი დიფურ-თხო პოქსა.

—პაი, შე ბრავოე შენა,—დასკუელია ვაჟამ,—როგორ თუ შენ ცხენი დამი-ფრთხობო.

—ეუ მანდ მისდინართ, ვიარებო, მა-მის ცხონებამ,—უთხრა არაგველმა,—თორმე ხომ ხედავ ამ ჭიკოსაო. ვაჟამ ერთი გულიანად გაღინახრა და გზა განაგრძო, მათრახი თავის ცხენს შე-მოკრა.

—ფერ უფრეთო, როგორ მაგრა დანხიდავ ეს ჩვენი არაგველი,—დი-მილით იმერებდა იგი და გზაზე ვინც-ცა შემოხვედებოდა, ყველას მოუთხორო-ბდა ამ აწახა!



რუსულთა ცხენები • ანანდაძისა

მელიქიშვილის ქუჩის გაფართოების
შემდეგ დაკვირვითი წესით მიმდინარეობს
ჩელსკინელთა ქუჩის გაფართოება.

ნახ. ღონისა



—აი, ერთი, ამ ჩვენს ქუჩას როდისღა
გააფართოებენ, რომ შენს თავს დამაშო-
რონ'..

რუსთაველის პროსპექტზე გამწვრივებული ავტო-მან-
ქანები ერთმანეთს ეცილებიან სისწრაფეში და სილამაზეში.
მათ ქარავენს ისევ გამოეყო „პობედას“ მატყის სამი მანქანა,
სრიალით შემოავლეს წრე მოედანს, კონქაძის ქუჩაზე გაუ-
ხვიეს და № 12 სახლთან სამმა სირენამ თავის ეზოს
შიაკითხა.

—რა მშვენიერი სამეულია!— აღტაცებით ფიქრობს მათი
მნახველი,—აი, მესმის ტრანსპორტი! ცხადია, ბედნიერია მა-
თი პატრონი!

ეს აღტაცება საფუძვლიანია.
უთუოდ ბედნიერად ჩასთვალა თავი იმ სამი მანქანის
სამმა მეპატრონემ: პროფესორმა ნ. პ. ვეკუამ, ინჟინერმა
ვ. ე. კანდელაკმა და მექანიკოსმა ნ. მ. ბოზარჯიანმა, როცა
ზემოაღნიშნული მანქანები შეიძინეს. ეს სავსებით ბუნებრი-
ვიც იქნებოდა: სამურამ ცხოვრებამ საბჭოთა მოქალაქეებს.
და მით უმეტეს სპეციალისტებს, საშუალება მისცა დანახო-
გებიდან პირადი სარგებლობისათვის მსუბუქი მანქანები შე-
ეძინათ.

აქედან გამომდინარე სიამოვნების სათავე იმ მოვლენა-
შიც მდგომარეობდა, რომ სახლს, სადაც ისინი ცხოვრობენ,
აქვს საკუთარი გარაჟი—2-3 მსუბუქი მანქანისათვის. აი,
მიაქროლეს ეს სამი მანქანა გარაჟთან, სადაც, ჩვენის წარ-
მოდგენით, ასეთი დიალოგი გაიმართა:

- შეიძინეთ?
- შევიძინეთ!
- მერე სად უნდა დააყენოთ?
- ჩვენს გარაჟში.
- რას ბრძანებთ? თქვენი გარაჟი ხომ თევოსიანს უჭი-
რავს?

- ვინ არის თევოსიანი?
- სოფელექტროს მმართველი.
- მერე და ის ხომ ამ სახლში არ ცხოვრობს.
- რა ვუყოთ, რომ არ ცხოვრობს, საბინაო სამმართვე-
ლომ მას გარაჟი იჯარით მიაქირავა მასზე გაპიროვნებული
ორი მანქანისათვის.

— ეგ ვიცით, მაგრამ იჯარა იმ პირობითაა, რომ როცა
ჩვენი სახლის მდგმურები მანქანებს შეიძენენ, თევოსიანმა
მაშინვე უნდა დაუცალოს გარაჟი.

ამ სიტყვებზე ვილაკამ ჩაიციანა. ეს თვითონ თევოსიანი
გახლდათ. მან გაიცინა გულუბრყვილობაზე, რომელსაც აღ-
ნიშნული სახლის მობინადრენი იჩენდნენ.

— არა, რა ხათრიანი კაცი მნახეს!— იცინოდა თევოსი-
ანი,— რომ ავდგე და გარაჟი დავეუცალო! ვა, ბემურაზი ვი-
ყო, თუ მაგაზე თავი შევიწუხო. არა, გეთაყვათ, მაგაზე ოც-
ნებას თავი დაანებეთ!

— კი, მაგრამ თქვენ ხომ ამ სახლთან საერთო არაფე-
რი გაქვთ?

— ვაჰ! საერთო როგორ არა მაქვს: თქვენი გარაჟი მე
მიჭირავს, ჩემი მანქანები შიგ არის, თქვენი კი—გარეთ. მაშ
რა გამოდის აქედან? გამოდის ის, რომ თქვენ არა გაქვთ
საერთო, მე კი...

ერთი სიტყვით, თევოსიანის პასუხმა სამ ბედნიერ მფლო-
ბელს ცივი წყალი გადაასხა. მათ მიმართეს სადაც ჯერარს,
იქ თევოსიანის ჯიუტობა უკანონოდ სცნეს, ხოლო თევოსიან-
მა კანონიერი მითითება არ სცნო. საქმემ ბერიას სახ. რაი-
საბჭოში გადაინაცვლა. საბჭოს აღმასკომმა სპეციალურ და-
დგენილებაში თევოსიანს მიუთითა გაენთავისუფლებინა გარა-
ჟი. თევოსიანმა ეს დადგენილება ერთ ყურში შეუშვა და მე-
ორეში—გაუშვა.


საქმე ზემდგომ ორგანოებში გადავიდა. კვლავ დადგე-
ნილებები, კვლავ მითითება. ბოლოს, 1949 წლ. 13 დეკემ-
ბრის თარიღით სპეციალური წერილობითი გაფრთხილება
გაეგზავნა თევოსიანს—ორი კვირის განმავლობაში გარაჟის
განთავისუფლების შესახებ. მას შემდეგ თოთხმეტჯერ ორი
კვირა გავიდა, თევოსიანი კი ისევ იცინის, გარაჟის კარებთან
სამი „პობედის“ სამი სირენა ამაოდ მოსთქვამს. თევოსიანი
მათ წინ გადასდგომია და შიგ არ უშვებს, წვიმაში და თო-

ბაიაღერკა—რელიგიური კულტის საჯაროთ მომღერადი და მოცეკვავე ქალი ინდოეთში. გაზეთ „ახადგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად შავი ზღვის ნაპირზე უპატრონოდ ყრია უამრავი ნავეები და ბაიაღერკები. თუ საიდან გაჩნდნენ ეს მანდილოსნები შავი ზღვის ნაპირზე, ამაზე კორესპონდენტი სდუმს. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი სწორედ იმავე ნავეებით მოცურდნენ, რომელთაც პატრონი ჯერ კიდევ არ მოვლენიათ.

წყ, წყ, —ან წყუ, წყუ, რაცა გამოხატავს აღტაცებას, გაკვირვებას ან აღშფოთებას. სახასიათო წამოძახილი მდიქვნელთა, როდესაც ისინი უსმენენ უფროსებს. ამავე მდიქვნელთა მიერ გავრცელებული წამოძახილი თეატრში სპექტაკლის ცქერის დროს. საკმაოდ ბრიყვული და თავისმომჭრელი ჩვეულება, რომელიც ახასიათებს ამ ბოლო ხანებში უფრო ხშირად ახადმოდის მოყვარულ ქალებს, მიუხედავად მათი მოკაზმვა-ჩაცმულობისა, შავმურა მედიების კისერზე მოდებისა, ჟურნალ „ამერიკიდან“ გადმოღებულ ფასონის მაკინტოშებში გამოპრანჭვისა და სხვადასხვა სამკაულებით აღჭურვისა.

ხემიჩკა—მზესუმზირა, ჩვენს სტადიონზე ფეხბურთის მაყურებელთა უმრავლესობის (განურჩევად სქესისა და ასაკისა) ძირითადი საკვები პროდუქტი. თავისუფლად იყიდება ქუჩებში, სტადიონის ეზოში და ტრიბუნებზე. მიღების წესი: მარცვლის ქერქი წინაპილებით უნდა გააპო, გული ენისწვერით ჩაითრიო, ხოლო ჩენჩო კისერში ჩააყარო წინა რიგის მაყურებელს.

ა. ბელ-ი



—ეგ რა დამტვრული ქანდაკება შემოუტყუებიათ, ახლავე ოქმი შეაყენე. ვერსად დავდგამ, ჩამოგვანერონ. თქვენ რომ გყოლიათ, მე ისეთი კლუბის გამგე არ გახლავართ, სამეურნეო მუშაკი ვარ და ყველაფერი კარგად მესმის...

პაკიძელის გზით

ნან. ლალისა

ვლში, პაპანაქებაში გარეთ დგანან მანქანები, გარეშე პირი კიმათს გარაჟს ეპატრონება. ეს იმ ანდაზას გავს — „გარეულმა ტორუამ — შინაური ტოროლა რომ გააგდო“.


მოთმინებიდან გამოსულმა მფლობელებმა მრავალი გზა და საშუალება სცადეს, მაგრამ თევოსიანის ჯიუტობა რომ ვერ მოტეხეს, ნიანგის რედაქციას მიმართეს დახმარებისათვის.

სამწუხაროდ, ნიანგს გარაჟი არ გააჩნია, თორემ იმდენად სამართლიანად სთვლის პატივცემული სპეციალისტების გულისტკივილს, რომ მათ უსიტყვოდ დაუთმობდა თავშესაფარს. იქნებ პატივცემულმა თევოსიანმა მიბაძოს ჩვენს სურვილს და პატრონებს დაუბრუნოს მათი კუთვნილი. ამით ის უთუოდ გამოსიყიდის დღემდე ჩადენილ დანაშაულს და ბიუროკრატულ თვითნებობას, უფრო მეტი მისაბაძი მაგალითიც გახდება მრავალთათვის, რომელთა მანქანებიც გარაჟით თუ უგარაჟოთ სხვადასხვა ეზოებს თვითნებურად შეჭკედლებიან.

მითხალაუზი



—საკვირველია! შაქრით და ტკბილეულით სავსეა მაღაზია, მათ კი მაინც გადაკეტილ კარებიდან სურთ გაიტანონ!
—აკრძალული გზით მიღებულს ადბათ უფრო მეტი სიტკობო აქვს...
—უთუოდ... ხომ ხედავთ როგორი სიამაყეა მათ სახეზე აღბეჭდილი.



რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალ „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 10/VIII. სტამბა „ზარია ვოსტოკა“. შეჯ. № 1990. რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 78. ტირ. 11.000. უე04987